

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:  
პრაქტიკული განხორციელების პრობლემები და პერსპექტივები

*სერგო სვანაძე – ეკონომიკის დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქ. ქუთაისი, საქართველო,*

**Modular Vocational Program: Problems and Perspectives of  
Practical Implementation**

*Sergo Svanadze - PhD in Economics, Head of the Business Administration  
Department, Associated Professor; Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

**Abstract**

**Introduction and aim:** Research aim is to demonstrate the effectiveness of modular vocational education programs, analysis of indicators, their generalization and organizational and methodological base for the development of proposals.

Preparing proposals for the structure of the programs, modules and their practical implementation processes based on the analysis.

**Research methodology:** Research methodological basis represents: General scientific and analytical method of research; analysis and synthesis method; data comparison method; systemic and logical approach method; normative-legal method and other approaches. Methodological basis consists of: basic definitions and regulations; legislation and regulations; methodical instructions and commands; published public information and scientific papers.

**Results and implications:** The work is one of the latest attempt of complex study of theory and practice, Analysis and generalization in this field. The observations and recommendations will enable us to increase efficiency. Improvement of the system in practice; its further development and professional development in this regard,

**Conclusion:** Above mentioned leads we to further improvement of the implementable modular professional educational programs and training of professional personnel for further actions.

**Keywords:** vocational, modular, educational, program.

თემა, რომელსაც აღნიშნული სტატია ეძვნება, მოიცავს პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე განხორციელებად პროცესებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ შორის პრობლემებსა და ხარვეზებს, მაგრამ სრულად საკითხები ვერ იქნება მოცული და ვერ გამახვილდება ყურადღება ყველა პრობლემაზე, ვინაიდან სტატიაში განხილული საკითხი - პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები - ამ ფორმით „ახალი საქმეა“ და ჯერ კიდევ განხორციელების პროცესშია. ამდენად სრულყოფილი და კომპლექსური შეფასება მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებისა ჯერ ვერ სრულია, მაგრამ ამ ეტაპისათვის განვლილი და განხორციელებული საკითხების შესწავლა-ანალიზით შეგვიძლია გამოვეყოთ და ყურადღება გავამახვილოთ მის დადებით მხარეებზე, ასევე გამოკვეთილ ხარვეზებსა და პრობლემებზე, რომელთაგან მიმდინარე ეტაპზე, ასე ვთქვათ მუშა პროცესში, რისი გადაწყვეტაც შესაძლებელია-მიზანშეწონილი და ვფიქრობ სავალდებულოცაა რომ მოხდეს რეაგირება ზოგადად, რათამაუნდა ასეთი საკითხების შესაბამის დონეზე და ფორმით ანალიზისა და კვალიფიციური დასკვნის

საფუძველზე.მასალის შეგროვება-განალიზება მოგვცემს საშუალებას პროგრამების მთლიანობაში და მათი შიგნით მოდულების ჭრილში გამოკვეთილი ხარვეზები დაიხვეწოს და სრულყოფილი,განახლებული,მოდერნიზებული სახით გააგრძელოს შესაბამისმა პროგრამებმა განხორციელება.ამის საჭიროება კი განვლილმა პროცესებმა და პრაქტიკაში განხორციელებისას წამოჭრილმა საკითხებმა ნამდვილად დაგვანახა.ამჟამად მხოლოდ მცირე ნაწილს შევხებით,რომელიც თემატიკასთან მოდის შეხებაში.

პროფესიული განათლების განვითარება-სრულყოფის კუთხით ერთ-ერთი ნიშანდობლივი და საკვანძო მომენტია საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის #300 ბრძანება „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე“, რომელიც პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია.სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები და მიზნები,რომელთა განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა.სტრატეგიით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობისათვის და იმისათვის რომ გაიზარდოს მისი შრომის ბაზართან თუ პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილებებთან შესაბამისობა-სწავლის შედეგებზე ორიენტირებული,მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.ასევე განსაზღვრულია,რომ საქართველოში პროფესიული განათლების მმართველობა ხორციელდება სამთავრობო სტრუქტურების მიერ.

პროფესიული განათლების აღორძინება და განვითარება,რომელიც დეკლარირებული იქნა სახელმწიფოს მიერ,ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანია,რომელიც განათლების სფეროში უნდა განხორციელებული და შეიძლება ითქვას რომ გარკვეულწილად დაგვიანებულიც არის,თუმცა როგორც იტყვიან „სჯობს გვიან,ვიდრე არასდროს...“. რათმაუნდა პროფესიული განათლება საქართველოში ნულიდან არ დაწყებულა,მოქმედებდა მთელი რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები,რომელთა აბსოლუტური უმეტესობა შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება,ძირითადად პროფესიული კოლეჯებში და ამას რათქმაუნდა თავისი ახსნა აქვს.ამასთან რიგი პროგრამების განხორციელება მიმდინარეობდა უმაღლეს სასწავლებლებში,კერძოდ საგნობრივი პროფესიული პროგრამების.

მიუხედავად ამისა დღის წესრიგში დადგა და სახელმწიფომ მიზანშეწონილად და საჭიროდ ჩათვალა (და სწორადაც) პროფესიული განათლების სფეროში განხორციელებინა მნიშვნელოვანი რეფორმა-გარღვევა და გადასულიყო პროფესიული განათლების მიღების ახალ მოდელზე,ფორმაზე.სწორედ ამ პროექტის განხორციელების პროცესში და შედეგად ჩვენს საგანმანათლებლო სივრცეში გაჩნდა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები,რომელთა შექმნასა და საპილოტე განხორციელებაზე მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა.კერძოდ მნიშვნელოვანი ადამიანური რესურსები იქნა ჩართული პროცესში მოდულების კონცეფციის და შესაბამისად პროგრამების შესაქმნელად.ამასთან დაიხარჯა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი როგორც პროგრამებისა და მოდულების შექმნის პროცესზე,ისე აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მინიმალურად საჭირო დონეზე უზრუნველსაყოფად,აღსაჭურვად.გარდა ამისა,შემუშავებული იქნა მნიშვნელოვანი ნორმატიული დოკუმენტები და შეიქმნა თეორიული ბაზა მოდულური საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების განხორციელების ფორმისა და მეთოდების შესახებ,შეფასების სისტემის,ფორმებისა და მეთოდების შესახებ ა.შ.

პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი,რომლითაც განისაზღვრება პროფესიული განათლების საფეხურები,მათი მინიმალური მოცულობა კრედიტებში და თითოეული საფეხურისათვის სავალდებულო ცოდნა,უნარები და

ღირებულებები. აღნიშნულის გათვალისწინებით მიმდინარეობდა მთელი შემოქმედებით საქმიანობა მოდულურ პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში და შედეგად პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების თითქმის ყველა ასპექტთან მიმართებაში შემუშავებულ-განსაზღვრული იქნა შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტაცია და სახელმძღვანელო-საინსტრუქციო მასალა ანუ ბაზა, რაც ერთის მხრივ კარგია, რომ პროცესის გარკვეულ დონეზე უნიფიცირება მოახდინა, თუმცა მეორე მხრივ ამ დროს აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელო-ნორმატიული ბაზა იყოს გამართული, პრაქტიკასთან ადაპტირებული და ეფექტურ-ოპტიმალური, რაც ამ მომენტისათვის სრულად ვერ დავადასტურებთ, თუმცა ყოველივე იმითაც არის განპირობებული, რომ აღნიშნული სიახლეა და საპილოტე განხორციელების პროცესშია, რეჟიმშია და ახლა მთავარია განისაზღვროს არართული, არაბიუროკრატიული ფორმა და მეთოდები მისი (პროგრამების და პროცესის მართვის) სრულყოფა-დახვეწის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებებისა.

ქვეყნის მასშტაბით შემუშავდა და დამტკიცდა განსახორციელებლად პირველ ეტაპზე 54 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც შეთავაზებული იქნა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე განსახორციელებლად. სწორედ ამ პროცესში ჩართულობის შედეგად აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული 11 საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე მომენტისათვის ხორციელდება ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა მიმართულებაზე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აქვე აღსანიშნავია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადად პროფესიული პროგრამების და ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესო მოდულური პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ აზრდასხვადასხვაობაა, ნაწილი მიიჩვევს რომ უმაღლესი განათლების სასწავლებლებში პროფესიული განათლების ჩართვა არ არის მიზანშეწონილი და ეს ზოგადად ამ სასწავლებლის აქტივად არ აღიქმება, ნაწილს პირიქით მოსაზრება გააჩნია და თავიანთი არგუმენტები აქვთ, „სიმართლე“ და არგუმენტები ორივე პოზიციის მქონეთ აქვს და ამ შემთხვევაში ვფიქრობთ რომელიმე მხარის ხელაღებით უარყოფა არ იწნებოდა სწორი და გონიერი გადაწყვეტა. ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს რამოდენიმე ასპექტზე, მათ შორის ფსიქოლოგიური, მენტალური, პროფესიული, აკადემიური, მატერიალ-ტექნიკური და ა.შ. ამასთან მიმართებაში შეიძლება ითქვას რომ, სახელმწიფოს მხრიდანაც ამ ეტაპზე რაიმე შემზღვევა პოზიცია არ იკვეთება.

მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, როგორც ყველა ახალ საქმეს ჩვევია, აღნიშნული პროგრამების შექმნა-განხორციელების პროცესში მაინც ვერ ავცდით მთელ რიგი ხარვეზებს, რომელიც მნიშვნელოვნად აფერმკრთალებს თავად ამ უაღრესად მნიშვნელოვან პროცესს და სტატეგიულად სწორ გადაწყვეტილებას.

საკმაოდ საინტერესო მომენტი იკვეთება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში. კერძოდ აქ მოიაზრება ის ტენდენციები, რომ უმაღლესი განათლების საფეხურებზე (საბაკალავრო თუ სამაგისტრო) რჩება შთაბეჭდილება რომ ზედმეტად ლიბერალური მიდგომების (რაც გარკვეულწილად დადებითა არ ადგება მდგომარეობას) პოლიტიკა ხორციელდება, ხოლო პროფესიული განათლების დონეზე, კერძოდ მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში ზედმეტად ცენტრალიზებულია, მიუხედავად იმისა რომ უშუალოდ განმახორციელებელ სასწავლებლებს ასე ვთაქვით თავიანთი შეხედულების, სტრატეგიის ცალკეული მომენტების განსაზღვრის „ლიმიტი“ გამოყოფილი აქვთ, თუმცა იმ ხარვეზების გასასწორებლად ეს ე.წ. „დელეგირებული“ უფლებები არაეფექტურია. არ შეიძლება და არც გამოვა სრული ცენტრალიზაცია, მაგრამ უნდა იყოს ძირითადი ჩონჩხი, რომელიც სავალდებულოა პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად, ხოლო დანარჩენი სასწავლებლებმა თავიანთი შეხედულებით და სტრატეგიის გათვალისწინებით უნდა

შეავსონ და კონკურენცია(ჯანსაღი) სასწავლებლებს შორის უნდა წავიდეს პედაგოგიური პერსონალის დონის ამაღლების,სწავლის პროცესის სრულყოფა-გამდიერების და მთლიანად სასწავლო-საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე აქცენტირებით და შესაბამისი პრესტიჟის მოპოვებაზე და კონტინგენტის მოზიდვაზე.ასევე პროგრამების სრულყოფა-დახვეწის კუთხით მისი ინიცირების და განხორციელების უფლება უნდა ქონდეს თავად სასწავლებლებს,მისი შემდგომი(უფრო სწორად ცვლილების პრაქტიკაში რეალიზებამდე) აკრედიტაციის,თვითშეფასებაში ასახვის უფლება-შანსი და ამ პროცესების პარალელურად შესაბამის სტანდარტებში და სახელმძღვანელო დოკუმენტებშიც იქნება შესაბამისი ცვლილება შეტანილი,ასახული. პროცესების ამგვარი მართვა ვფიქრობთ უფრო პროდუქტიულს და ოპერატიულს გახდოდა გამოვლენილი ხარვეზებისა და პრობლემების აღმოფხრის და პროგრამების სრულყოფა-დახვეწის პროცესს. არადა მიზანშეწონილი და საჭიროა მთელი რიგი საკითხები დროულად იქნას გაანალიზებული და შესაბამისი რეაგირება განხორციელებული.

რეალურად სტუდენტი რომელიც სისტემატიურად არ დადის და არ ღებულობს სწავლის პროცესში მონაწილეობას,არ არსებობს მექანიზმი რაიმე ღონისძიების გატარების ასეთ კონტინგენტთან მიმართებაში,არადა ამ დროს გარეთ დარჩა ვინც რეალურად ისწავლიდა და დაეუფლებოდა შესაბამის პროფესიულ კვალიფიკაციას და ამის დარეგულირების მექანიზმი და გზა არ არის და არადა ამ დროს სახელმწიფო თანხები მაინც იხარჯება,ვინაიდან პროცესი როგორც წესი და რეალურად მაინც მიდის,თუმცა არასრულად დატვითული.... და საბოლოოდ აღნიშნულის შედეგია სახელმწიფო რესურსების არაეფექტური გამოყენება და უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების ხარვეზები დას მის პრესტიჟულობის დაცემის პოტენციური საშიშროება.

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში (და ნაწილის ნიშნები თავიდანვე იკვეთებოდა შესაბამისი მიმართულების სპეციალისტების აღნიშვნით) წარმოიჩინდა რიგი ხარვეზებისა,პრობლემებისა და საკითხებისა რომელთაგან ნაწილი შეიძლება ითქვას ზოგადი და საერთოა პროგრამებთან მიმართებაში,ხოლო ნაწილი უშუალოდ კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებაში იკვეთება.კერძოდ:

- მოდულური პროფესიული პროგრამების ხანგრძლივობის პრობლემა
- ცალკეული მოდულების ხანგრძლივობის პრობლემა
- შეფასების ზედმეტი დეტალიზაცია და ჯერადობა
- მოდულებში ცალკეული თემების და საკითხების დუბლირება ანუ მოდულებში ერთი და იგივე ან მსგავსი საკითხებით გადაფარვა
- ზოგიერთი მოდულის გაუქმების გაუქმება-შერწყმა მათი რიგი საკითხების სხვა მოდულებში ინტეგრირებით
- პროგრამების ჭრილში მოდულების კომპლექსური „შეუთამაშებლობა“.
- ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტებით ცენტრალიზებული პროცესის გარკვეული,ნაწილობრივი დეცენტრალიზაციის მიზანშეწონილობა,
- პროგრამების განხორციელების პროცესის ფინანსური უზრუნველყოფისა და მართვის ნორმატიული ცენტრალიზაციის მისაღებ დონეზე ლიბერალიზაცია

ამდენად შეიძლება ითქვას რომ სტატეგიულად სწორი პოლიტიკა საგანმანათლებლო სივრცის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებაში - პროფესიული განათლების სფეროში - დროული,გამართლებული და რეალობასთან(არსებულ ვითარებასთან) შესაბამისობის აუცილებლობითაა განპირობებული და ამასთან ხასიათდება ყოველი ახალი საქმისათვის დამახასიათებელი „სიყმაწვილის“

ხარვეზებით, განსაკუთრებით პროგრამების განხორციელების საპილოტე ეტაპზე და ამ შემთხვევაში უაღრესად აქტუალურია უფლებამოსილებათა სწორი გადანაწილება და პროგრამათა სრულყოფა-დახვეწის გამათული და ეფექტური მექანიზმის შექნა.

### გამოყენებული წყაროები

- [1] საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №300 ბრძანება „პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020 წლები) დამტკიცების თაობაზე“
- [2] სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 27.07.2015 წლის №529 ბრძანება „პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“
- [3] სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 25.11.2016 წლის №01-04/86 & 25.11 ბრძანება „მოდულური პროგრამების (მოდულები) სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო/სტრუქტურის დამტკიცებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.
- [4] აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 13.08.2015 წლის №88(14/15) დადგენილება „ზოგიერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“